Teimuraz Akhobadze

Digitally signed by Teimuraz Akhobadze
Date: 2019.08.01 17:29:57 +04'00'

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.32/10/81

ქ. თბილისი 01.08.2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელის კახაბერ გავაშელის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „კომპანია Geosm" ("შემდგომში მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანი - საოფისე აქსესუარების, ფორმების და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №-13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, რომლის აღწერა მოცემულია ფასების ცხრილში დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 3 477.00 (სამი ათას ოთხასსამოცდაჩვიდმეტი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - 22800000;

2.6 ხელშეკრულება ძალაშია გაფორმებიდან 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

3.1შესყიდვიდ ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2 შესყიდვიდ ობიექტის მიწოდების ადგილი: მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა მოახდინოს ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ. N29, მე-3 სართული (საბურთალოს რაიონის გამგეობა).

3.3მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შემოთავაზებული პროდუქცია იქნება მაღალი ხარისხის და არ გამოიწვევს სამუშაო პროცესის შეფერხებას.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი გ. სვანიძე.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველსა და მიმწოდებელს უფლებამოსილ პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირი.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2019 წლის გამგეობის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.3ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების, კერძოდ: მოწოდებული საქონლის უხარისხობის შემთხვევაში შემსყიდველი მხარე იტოვებს უფლებას მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო სახელშეკრულებლო ღირებულების 10%-ის ოდენობით და არ აუნაზღაუროს უხარისხო საქონლის სახელშეკრულებლო ღირებულების თანხა.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშ კრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მხარეებს არა აქვთ უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

13.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
14.3 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული და სხვა სადაო საკითხები გადაწყდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ერთი ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას მიენიჭება უპირატესობა.

მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

საბურთალოს რაიონის გამგეობა
მის: მიცკევიჩის ქ. №29
ს/კ: 205 303 820

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „კომპანია Geosm"
მის: ალ. ყაზბეგის გამზ. №47
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
კოდი: MIBGGE22
ა/ა№ GE45PC0223600100010827
ს/კ: 404 873 614

გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელი

კახაბერ გავაშელი

დირექტორი

თეიმურაზ ახობაძე

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი, 1 აგვისტო, 2019 წელი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ, საოფისე აქსესუარების, ფორმების და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების შესყიდვის მიზნით შ.პ.ს. ,,კომპანია Geosm"-თან 2019 წლის 1 აგვისტოს გაფორმდა N10.32/10/81 ხელშეკრულება, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით მიმწოდებელთან.

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი გ. სვანიძე.

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ბლოკნოტი ზამბარით A5 - 40 ფურცელი - ხაზი	ცალი	50	1.14	57.00
2	ბლოკნოტი ტყავის ყდით, სანიშნით A5, 120 ფურცლიანი, უჯრებიანი	ცალი	50	4.50	225.00
3	ბაინდერი A4 ფორმატის 500 ფურცლიანი, მეტალის დამჭერი მექანიზმით. გარსი PVC, შიგთავსი ქაღალდის, ცვალდი ფირნიშით, ფერი სხვადასხვა მოთხოვნის შესაბამისად.	ცალი	500	2.40	1200.00
4	ფაილი A4 / 40 მიკრონი, 100 ცალიანი	შეკვრა	300	4.00	1200.00
5	წვევამდელის სამხედრო-სააღრისხვო მოწმობა	ცალი	1 500	0.45	675.00
6	წიგნი სამხედროებისთვის 500 ფურცლიანი ანბანური, დანომრილი, ცხრილით	ცალი	2	60.00	120.00
	ჯამი				3477.00